# სახალხო გაზეთი

№ 360 კვირა, 24 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 360

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირუის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

**მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის ამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.**

---

ივანე ქრისტესიას ძე ხუცაიძე, ია და ნინო მაკაცაშვილნი შვილებითურთ, ანდრია, კონსტანტინე ქრისტესიას ძენი და ეკატერინე ხვიმასინის ასული ხუცაიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 21 ივლისს, დილის 12 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის—მეუღლე, მეორეთა—ასული, მესამეთა—რძალი,

### ბარბარე იას (იობის) ასული ხუცაიძისა.

გამოსვენება საკუთარი სახლიდან, ბაგრატიონის ქ. № 16, დილის 9 საათზე. კვირას, 24 ივლისს ანჩისხატის ეკლესიაში; დასაფლავება მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (3—734—3)

---

მწუხარებასა შინა მყოფნი აზნაურნი ხოფერიანი ივანეს ძე ხაბაშვილი მეუღლით და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 26 ივლისს, დღით, გადახდილი იქნება სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიაში ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის, პირველთა საყვარელ ქალიშვილის, მეორეთ ქვირფასის დის

### შაშიკოსი (იგივე ფეოდოსიის)

სულის მოსახსენებლად. წირვა 10 საათზე დაიწყება. (1—1406—1)

---

დავით გიორგის ძე და ანნა იას ასული ნახუცრიშვილნი კულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ივლისს, დილის 12 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ცოლის და, მეორისა და

### ბარბარე იას (იობის) ასული ხუცაიძისა.

გამოსვენება კვირას, 24 ივლისს, დილის 9 საათზე, საკუთარი სახლიდან, ბაგრატიონის ქუჩა, № 16, ანჩისხატის ეკლესიაში. დასაფლავება მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—734—1)

---

ნატალია ბეჟანის ასული, შვილნი მისნი: დიმიტრი, ოლღა, თამარ, ნადეჟდა, მარიამი, სიძენი გრიგოლი შუშუნაია და აკაკი მებუკე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა—ძვირფასი მეუღლე, მეორეთა—დაუვიწყარი მამა,—ხოლო მესამეთა—სიმამრი, დაბა ხონის ნოტარიუსი

### დიმიტრი მოსეს ძე პილაევი.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, სოფ. ნოღაში (საკუთარი სახლი), დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება. (1—736—1)

---

21 ივლისს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

### მღ. იოანე ნიკოლოზის ძე წულაძე,

რასაც უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და პატივისმცემელთ შვილები მისი მღვდელი ლავრენტი, აპოლონი, ათინოგენი და ასული გალინე. დაკრძალვა მოხდება კვირას, 24 ივლისს, სოფ. ჭანჭათს (გურია), საოჯახო სასაფლაოზე, საკუთარ საჯვარესთან. (1—1407—1)

---

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—99)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ოთშ., და პარ. 10½—11 ს.

**დგებუაძე რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და პა. 10—12 ს.

**ჭიჭინაძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ხოხოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაკოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სადღესურია. (წ.—1089—519)

---

## ქართ. თავად-აზნაურობის თეატრი

**კვირას, 24 და ორშაბათს, 25 ივლისს, 1911 წ.,** დანიშნულია **მხოლოდ ორი გასტროლი**

**გ ა უ გ ო ნ ე ლ ი რ ა მ ა ხ ა ლ ი ა მ ბ ა ვ ი !**

**ამერიკელი-შეუსრულებელნი! ეგვიპტის საიდუმლოებათა სასწაულნი!**

რუსეთში პირველად მრავალ ორდენთა კავალერნი **ზენონა** და **პელლი სიმენსი,** რომელთაც ევროპის ყველა ქალაქები აალაპარაკეს **საოცარნი სასწაულნი მალაისა და ეგვიპტის თვალთ-მაქცობ და ტიბეტის ლამობ. ძველ ეგვიპტის კუთხე! ჩვენება ეგვიპტის მუმიებისა და მოხეირნე აჩრდილთა.**

**პროგრამში 3 ნომრით.** **გასაოცარი სანახაობა!**

ნელლი სიმენსი საზოგადოებას უჩვენებს ბამბუკის ჯოხს, სიგრძით 4½ არშ., და საზოგადოებიდან მოიწვევს ვისმეს ჯოხს ხელი მოჰკიდოს, მაშინ ნელლი სიმენსი ამ ჯოხზე შიმპანზეს (მაიმუნია) შესვამს, რომელიც საზოგადოების თვალ-წინ გაჰქრება, ზენონა სიმენსი კი, წინდაწინვე სკამზე მიჯაჭული დაუფარავი, ჯოხიდან მაყურებელთა გასაოცებლად ძირს ჩამოდის, იმის ადგილას კი, მიჯაჭული შიმპანზე ზის, რომელიც ის იყო მაშინ გაჰქრა.

**ნახეთ თვალით! ნახეთ თვალით! გაუგონელი რამ ახალი ამბავი!** (3.1402.3)

---

ტელეფ. 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. 795.

(თ. აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

**ხამშაბათს, 26 ივლისს, 1911 წ.**

## ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

ქართულ თეატრის საზაფხულო სცენაზე წარმოდგენილი იქნება ქართულად:

| I | II |
|---|---|
| **რაც არ მერგება, არ შემერგება** | **მუსიკალური დივერტისმენტი** |
| კომ. 1 მოქმ. გ. გუნიასი. | მონაწილენი: ქ-ნი კალიუჟინა-დე-ოლივა, ბ.ბ. ბუტი, ცხომელიძე და სხვ. |

**დასაწყისი საღ. 9 საათზე.** ადგილების ფასი თეატრში 10—50 კ. სტუმრები გადაიხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ. ბაღში უკრავს **სამხედრო მუსიკა და საზანდარი.** წარმოდგენის შემდეგ **ლოტო.** (2—1304—1)

---

## დროებითი კომიტეტი

მსწრაფლ-სამედიცინო დახმარების აღმომჩენ ორგანიზაციისა **ქ. ტფილისში,** რომელსაც თავმჯდომარეობს სტატს-დამა **გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვისა,** აუწყებს ქ. ტფილისის მცხოვრებთ, რომ მსწრაფლი-სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სტანცია **ამა წლის 25 ივლისს დაიწყებს მოქმედებას.**

სტანციას აქვს კარეტა, საჭირო შტატი ექიმთა და სანიტართა და იმყოფება ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომთან (ჟუკოვსკის ქუჩა № 4, ტელეფონი № 600). (1—1408—1)

---

## ქუთაისის ქართული გიმნაზია

აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლისათვის თავისუფალი ვაკანსიები იქნება **მხოლოდ პირველსა და მეორე განყოფილებაში,** თითოეულში 40 ადგილი; მათთვის მისაღები გამოცდა დანიშნულია 27 აგვისტოსათვის. **ხელახალი ეგზამენები** დაიწყება 25 აგვისტოს. (3—1388—2)

---

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და ცალკე წიგნად გამოვა

## გ. ახოსპირელის

დრამატიული პოემა

## შვენება და სიყვარული

გამოცემა **მიხაკო ლალიძისა.** (10—1403—2).

---

## გამოვიდა და იყიდება

## ნ. შიუკაშვილის „მოგზაობა",

**—◄ ფასი ექვსი შაური. ►—**

4 მოქმ. დრამა. წიგნის საწყობი: **„სახალხო გაზეთის"** რედაქცია. (5—4)

---

## ჭიათურის საურთიერთო ნდობის

## საზოგადოების საბჭო

იწვევს ჩვეულებრივ საზოგადო წლიურ კრებას 7 აგვისტოს, დილის 12 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

**განსახილველი საგნები:**

1) მოხსენება საბჭოსი, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) 1910 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 4) 1911 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს სამი წევრისა და სარევიზიო კომისიისა.

ეს კრება მეორე და უკანასკნელია და კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—1404—1)

---

## სურამში

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი.

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა. (ე)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—105

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—68)

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

---

**აბასთუმანში**

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—33)

---

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—8)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ზ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხოხოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წ.—1090—117)

---

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. გ. რუდნოვსკი

**კიროჩნის ქ., სახ. № 18.**

ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ. იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ—ყოველ დღე დილას 9—11 ს., საღამოს 5—8 ს. (10—1336—8)

---

## ტფილისი, 24 ივლისი

**ქართული სასოფლო - სამეურნეო საზოგადოება.** ქართულ სასოფლო - სამეურნეო საზოგადოების მნიშვნელობაზე იმდენი რამ დაიწერა, როგორც საზოგადოდ, ისე ჩვენს გაზეთში, რომ ამ ქამად სიტყვის გაგრძელება აღარ დაგვჭირდება. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით სამეურნეო ქვეყანაა და ამიტომ გასაკვირველი მხოლოდ ის და თუ შეიძლება იყოს, რომ ასეთი საზოგადოება უფრო ადრე არ დაიბადა. მართალია, ჩვენში არსებობდა და თითქოს კიდეც მუშაობდა, საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, მაგრამ იგი ჩვენს ქართულს ცხოვრებას მოწყვეტილი იყო. ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რა თქმა უნდა, თვით ცხოვრების შუა-გულში შეიჭრება და უფრო ადვილად დააკმაყოფილებს მომწიფებულ საჭიროებებს. ამას გარდა, ხსენებული საზოგადოება ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელიც გამოიწვია შრომის განაწილების პრინციპმა. დღემდის თავად-აზნაურობაც კი ხელმძღვანელობდა სამეურნეო საქმეებს. ქართულ სამეურნეო საზოგადოების დაარსებით ეს ხელმძღვანელობა თამამად შეიძლება მას გადაეცეს.

ახალს საზოგადოებას წინ დიდი სამოქმედო ასპარეზი აქვს გადაშლილი. სწორედ ეს სიდიდეა, რომ ცოტაოდენს შიშსა ჰბადებს. ადვილად შესაძლებელია მოზღვავებულმა საჭიროებამ ახალ საზოგადოების მოქმედება და ენერგია დაქსაქსოს, დააქუცმაცოს. რომ ეს არ მოხდეს, აუცილებლად საჭიროა, გარდა საერთო გეგმისა, შემუშავებულ იქმნას მახლობელ მიზანთა მისაღწევი გეგმა და გამონახოს საშუალება ამ გეგმის განსახორციელებლად. დღევანდელს ჩვენს გაზეთში მკითხველი წაიკითხავს, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თავის მორიგ კრებაზე შეუმუშავებია ხარჯთ-აღრიცხვა თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებულ საადგილ-მამულო კომისიაში გარდასაცემად.

საადგილ-მამულო კომისია სწორე გზას დაადგება, თუ იმ ფულს, რომელსაც ახალი საზოგადოება თხოულობს, გადასცემს, მაგრამ სამეურნეო საზოგადოებამაც არ უნდა დაივიწყოს, რომ მარტო სუბსიდიები საზოგადოებას ვერ ააყვავებს. საჭიროა თვითმოქმედებისა და ინიციატივის გამოჩენა, განსაკუთრებით ისეთს საქმეში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა.

ხარჯთ - აღრიცხვაში მოხსენებულია, სხვათა შორის, ასეთი მუხლიც: აგრონომიული დახმარება ქართლისა და კახეთის ორგანიზაციებს—თითოს წლიურად ხუთი ათასი მანეთი. საინტერესოა ვიცოდეთ, რა ხასიათისა იქნება ეს დახმარება, ან რა ნიადაგზე აშენდება ეს ახალი ორგანიზაცია. სამეურნეო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მისთვის საჭიროა კონკრეტულად დასახული მიზანი. მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობა ააყვავებს სამეურნეო საზოგადოებას და მისცემს მას როგორც სულიერს, ისე მატერიალურ საზრდოს...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი,** გაზეთების სიტყვით, კავკასიისკენ წამოსვლის წინად თავის მამულიდან პეტერბურგს წავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან სპარსეთის საქმეებზე სათათბიროდ.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** 22 ივლისს ავტომობილით კავკავს გაემგზავრა, საიდანაც ჟელეზნოვოდსკში წავა.

✦ **სასანიტარო კომისიამ** 20, 21, 22 და 23 ივლისს ქალაქის მე-10, 11 და 12 უბანში სავაჭრო დაწესებულებანი და სახლის ეზოები დაათვალიერა. ყველგან შესაფერი განკარგულება მოახდინა. ბევრგან კომისიამ უვარგისი სანოვაგე და ხილი აღმოაჩინა.

✦ **ცეცხლი გაუჩნდა** 23 ივლისს ვასილ მალაზიას სახლს, რომელიც ანდრეევის ქუჩაზე მდებარეობს. ზარალი 3,000 მანეთამდეა.

✦ **ელექტრონის მსხვერპლი.** 22 ივლისს ტფ. ტრამვაის სახელოსნოში უცებ ელექტრონი აფეთქდა. ელექტრონის ძალამ მოჰგლიჯა რკინის კარი, რომელიც მოხვდა ორს მუშას: პეტრე როტაჩევს და მიხეილ ოსიპოვს პირველი იმწამსვე გარდაიცვალა. მეორე საშინლად არის დასახიჩრებული.

✦ **ქალაქის მოურავმა ბ. ხატისოვმა** ტფილისის გუბერნატორს აცნობა, რომ 23 მაისის საბჭოს დადგენილების ძალით ქალაქის გამგეობამ ამ წლის 20 აგვისტომდე ამომრჩეველთა სია უნდა გამოაქვეყნოს. ეს სია საქალაქო დებულებათა 35 მუხლის ძალით იმ რიგად უნდა გამოქვეყნდეს, როგორც ამას ადგილობრივ პირობათა მიხედვით გუბერნატორი სცნობს საჭიროდ. წინა წლების მიხედვით გამგეობას აზრად აქვს ცალკე უბნების ამორ-

ჩველთა სია ცალკე წიგნაკებად დაბეჭდოს და მხოლოდ ამომრჩეველთ დაურიგდეს, ქალაქის კანცელარიებში; ამის გამო გამგეობა ყველა ადგილობრივ გაზეთებში განცხადებას მოათავსებს. ქალაქის მოურავი გუბერნატორსა სთხოვს, რაც შეიძლება ჩქარა აცნობოს, საწინააღმდეგო ხომ არაფერი ექნება გამგეობის დადგენილების სისრულეში მოყვანისა. გუბერნატორმა უპასუხა— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მხოლოდ საჭიროა ამ სიების ხალხში უფრო გასავრცელებლად სია უბნების საპოლიციო კანცელარიებშიაც გამოჰკიდონ და ყოველ ქუჩის თვალსაჩინო ადგილას განცხადება იქმნეს გაკრული, სად შეიძლება სიის ნახვა.

✦ **ტფილისის გუბერნატორს** გორის ვაჭრებმა კოლლექტიური საჩივრით მიჰმართეს, ადგილობრივი ადმინისტრაცია პირველ ივლისიდან დუქნებს 9 საათზე გვაკეტინებსო. ამ განკარგულებას კი დიდი ზარალი მოაქვს მათთვის, რადგანაც სიცხეებისა გამო საქონელი მეორე ცილამდე ფუჭდებაო. ვაჭრები შუამდგომლობენ, ვაჭრობის ნება ღამის 11 საათამდე მოგვეცითო.

✦ **ტფილისის გუბერნატორს** გორის მაზრაში მოგზაურობის დროს სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებთ თხოვნა მიართვეს, ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი ჩვენს სოფელშიაც გაიხსნასო. გუბერნატორმა სახალხო სკოლების დირექტორს წინადადება მისცა ამ საქმის თაობაზე თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს.

✦ ტფილისი გუბერნატორმა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას **ნება დართო** სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო გახსნას. პასუხის მგებელ გამგედ მღვდელი ახმეტელაშვილი დაინიშნა.

✦ **ტფილისის გუბერნატორმა** ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობას ნება დართო 29 ივლისს სურამში საზოგადოების სასარგებლოდ **სეირნობა გამართოს**.

✦ საქიმიო ლაბორატორიაში მიიტანეს ქაიხოსრო ვეფხვაძის კვასის ნიმუშები. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ კვასი უვარგისია და შიგ ბევრი სახარინი ურევია. ქაიხოსრო ვეფხვაძე ამავე საქმის თაობაზე 1908 წ. სამართალში იყო მიცემული.

✦ გამოვიდა ჟურნალ **„კოოპერაციის“** 4—5 ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) მოწინავე წერილი, 2) დ. ზ. სარაჯიშვილის სურათი, 3) სურათი კოოპერატიულ ცხოვრებიდან, 4) ლექსი, ვ. რუხაძისა, 5) კოოპერაცია საზღვარ-გარედ, ვ. თ. ტოტომიანცისა, 6) ქ. ბ. კუსკოვას წერილი კოოპერაციის მნიშვნელობაზე (ანკეტა), 7) დ. ზ. სარაჯიშვილი და სასოფლო-სამეურნეო ბანკი, 8) მასალები საქართველოს მრეწველობა-ვაჭრობისა და ხელოსნობის შესასწავლად, ზ. ჭიჭინაძისა, 9) მიწის მომუშავეთა მწარმოებელი კოოპერაცია, 10) ხმა სოფლიდან, ბ. ნოსირელისა, 11) წერილი გურიიდან, 12) მომხმარებელი საზოგადოების მომხმარებელი წესდება, 13) გაკვრით („ზ. რ.-ის“ საყურადღებოდ), 14) გაზეთ „თემის“ აზრი „კოოპერაციაზე“, 15) კოოპერატიული ცხოვრება: **ანგარიში** ფოთის მომხმარებელ საზოგადოება **„ეკონომია“ სი**, 16) ბიბლიოგრაფია, 17) მიმდინარე ცხოვრება.

ჟურნალი იყიდება ყველგან, წიგნის მაღაზიაში და მეგაზეთეებთან.

**ჟურნალი „კოოპერაცია„** შემდეგ **ყოველ კვირაობით** გამოვა.

## წვრილი ამბები

✦ **უგზოდ დაიკარგნენ: კონსტანტინე მაჟდუს ძე კრავცოვი და ვართან სინაიშვილი.**

✦ **22 ივლისს ტფილისში შეიპყრეს 7 უპასპორტო.**

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება** 22 მკათათვეს მოხდა. საბჭომ განიხილა თავისი მოღვაწეობის პროგრამა და დაამტკიცა შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვა 1912 წლის პირველ იანვრამდე (ე. ი. ნახევარ წლის): მდივანს—625 მანეთი, წიგნაკებისა, პროშურებისა და ფურცლების გამოცემა—500 მ., მისვლა-მოსვლა—300 მ., ინვენტარის შეძენა, ბიბლიოთეკისა და კანცელარიის ხარჯი—300 მ., მოსამსახურეებს—60 მ., აგრონომიული დახმარება ქართლსა და კახეთში წლიურად თითო ორგანიზაციისათვის 5000 მან., ხუთ მცოდნე მუშის მოსამზადებლად — 500 მ., მოულოდნელი ხარჯები — 215 მ.; სულ 7500 მან. შემოსული საწევრო გადასახადისა და შემოწირულებათაგან 500 მან.

ამრიგად საზოგადოებას ეჭირვება დახმარება 7000 მან. ნახევარ წელიწადში და 14000 მან. წელიწადში.

ეს ხარჯთ-აღრიცხვა გადაეცემა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო კომისიას, რომელზედაც დამოკიდებულია ამ საკითხის განხილვა. თუ თავად-აზნაურობა ფულს მისცემს და არ დაავგვიანებს მიცემას, საზოგადოების აგრონომები, როგორც გავიგეთ, შემოდგომიდანვე გავლენ პროვინციაში და საჭირო მუშაობას შეუდგებიან. საზოგადოების საბჭოს შემდეგი კრება მომავალ ხუთშაბათისათვისაა დანიშნული.

## რკინის გზაზე

✦ გუშინდელი ცნობა იმის შესახებ, რომ **გენერალი კარპოვი** თანამდებობის აღსრულებას შეუდგაო, მართალი არ გამოდგა ადგილობრივ სამმართველოს ამის თაობაზე არავითარი ოფიციალური ცნობა მიუღია.

✦ **სადგური ნავთლუღი.** 24 ივლისს, ღამის 1 საათზე, ყარსის გზის მეცხრე ვერსზე საბარგო მატარებელი № 441 ხაზიდან წაიწყდა. ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი და ხუთი დატვირთული ვაგონი. მემანქანის თანაშემწე და ერთი მეისრე სასიკვდილოდ დაშავდნენ, მემანქანე კი —მძიმედ. ორთქლმავალი დაიმსხვრა; გადავარდნილ ვაგონთაგან სამი დაიმსხვრა, ორი დაზიანდა. ლიანდაგი 25 საჟენის მანძილზე გაფუჭდა, რის გამოც სამგზავრო მატარებელი № 75 ნავთლუღის სადგურში დარჩა.

## ქ უ თ ა ი ს ი.

✦ **ხონელებს** განუზრახავთ მხარი დაუჭირონ ქუთაისის თვითმმართველობას შავი ზღვის რკინის გზის გამოყვანის საქმეში. ამ დღეებში ხონის წარმომადგენელთ თათბირი ჰქონიათ ქუთაისის ქალაქის მოურავთან რკინის გზის გამოყვანის თაობაზე.

✦ საადგილ-მამულო ბანკის **ზედამხედველმა კომიტეტმა** წინადადება მისცა გამგეობას, რომ 18 ივლისიდან გადააყენოს ძველი დამფასებლები და ახლად არჩეულნი მოიწოდოს. თავისი გადაწყვეტილება კომიტეტს ფინანსთა მინისტრის წარმომადგენლისათვის უცნობებია.

✦ რწმუნებულთა მოთხოვნა, რომ **არაჩვეულებრივი კრება** იქმნას მოწვეული, საადგილ-მამულო ბანკის საკონტროლო ორგანოს არ განუხილავს, რადგან ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება ზედამხედველ კომიტეტის წევრთა მხოლოდ ნახევარი; როცა დანარჩენნი თავს მოიყრიან, მაშინ განიხილავენ, თურმე ამ განცხადებას.

✦ როგორც ამბობენ, მომავალ კვირაში **თ. ს. დ. წერეთელი** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღსრულებას შეუდგება—და იმსახურებს, სანამ ახალი არჩევნები არ მოხდება.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობას ცნობა მიუღია ნამესტნიკის კანცელარიიდან, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, შავი ზღვის პირად რკინის გზის გაყვანას —ზუგდიდ-ხონი-ქუთაისის გზით შეუძლებლად სცნობსო, რადგან ერთიორად მეტი დაჯდება და ტეხნიკურადაც უხერხულია, ვიდრე ზუგდიდი—ახალ-სენაკი—რიონის გზითო.

ამ საქმის გამო ქალაქის მოურავმა ა. მ. ჩიქოვანმა მოხსენება გაუგზავნა ქუთ. გუბერნატორს,—იშუამდგომლეთ, რათა შავ-ზღვის პირად გზის გამოკვლევის დროს ზუგდიდი-ხონი-ქუთაისის გზიც გამოიკვლიონო.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ უკვე მიიღო **არჩილ ჯორჯაძის II-რე წიგნი** თავის ხელის მომწერლებისათვის და მათ შეუძლიანთ მოიკითხონ იგი.

აქვე იყიდება ორივე ტომი არ. ჯორჯაძისა, ახალი დრამა ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“, და მიიღება ხელის მოწერა—„გიორგი საალება და მისი დრო“.—ანტონ ფურცელაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემაზე—ფასი 1 მან.

✦ 20 ამ თვეს **დამტუსაღეს თავადი ივანე (ჭოჭია) იასონის ძე ჩიქოვანი**; თავადის მეუღლესაც უპირებდნენ დაპატიმრებას, მაგრამ ექიმებმა ავადმყოფად იცნეს და იგი ყარაულ ქვეშ იმყოფება თავისსავე სახლში.

✦ 20 ივლისს, ორპირის ქუჩაზე, ღამით, ვიღაც უცნობებს ჩაუტეხიათ ფანჯარა ნუცუბიძის თივის საწყობისა, შესულან შიგ, გაუტეხიათ უჯრა და გამოუტანიათ იქიდან ორი საათი, ათ მაურამდე წვრილი ფული და 899 მან. ვექსილები და სხვა და სხვა თამასუქები.

## ბათუმი

✦ ქალაქის ლომბარდის გამგემ ბ. გამყრელიძემ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ლომბარდის ხაზინადარად ნამყოფმა ა. ა. რეზნიკოვმა ლომბარდის გამგის და დამფასებლის ფეტვაჯიანის თანადასწრებით ჩააბარა კასა, დაგირავებული ნივთები და წიგნები ახალს ხაზინადარს ვ. ვ. გურდლინკოს, სულ 2755 გირაო, რომელშიაც გაცემულია სესხად 64,126 მ. დაფასებულია 91,879 მ. საბუჰგალტერო დავთრების მიხედვით უნდა იყოს, 2762 გირაო და სესხად მიცემული 64,115 მ. შეფასებით 92,036 მ. ამასთან უნდა იყოს კიდევ 1910 წლის გირაო ლირებული 15 მ., რომელშიაც მიცემულია სესხად 8 მ. მაგრამ ეს გირაო არ აღმოჩნდა. რაც შეეხება 15 მ. გირაოს, რომელიც არ აღმოჩნდა ლომბარდის საწყობში და აგრეთვე სესხის და შეფასების ჯამის განსხვავებას, საბუხჰალტერიო წიგნებთან, ეს საკითხი გამოურკვეველი დარჩა.

✦ ბათუმის ოქლის სამხედრო გუბერნატორმა ქალ. გამგეობას გამოუგზავნა ნამესტნიკის კანცელარიის მოწერილობის პირი და აგრეთვე მოითხოვა ცნობები და მასალებ სახელმწიფო სათათბიროში წარდგენილ ნახევარ-კაპეიკიან საფუთო გადასახადის კანონ პროექტის ყოველ მხრივ გასარჩევად და შესასწავლად. ხსენებული საფუთო გადასახადი უნდა დაწესდეს ბათუმის ნავთ სადგურით გატარებულ საქონელზე ქალაქის სასარგებლოდ. ქალ. გამგეობას წინადადება ეძლევა, ხსენებული ცნობების ორი ეგზემპლიარი წარუდგინოს სამხედრო გუბერნატორს. გუბერნატორი მხედველობაში იღებს იმ სერიოზულ მნიშვნელობას, რაც ექნება ხსენებულ ცნობებს კანონ-პროექტის ბედიღბლის გადაწყვეტაში და სთხოვს ქ. გამგეობას, რომ მიიღოს ყოველგვარი საშუალება, რომ ამ საგნის შესახები ცნობები აუცილებელ და უტყუარ საბუთებზე იყოს დამყარებული და მას 26 ივლისამდე წარუდგინოს.

✦ ქალ. გამგეობამ სამხედრო გუბერნატორისაგან შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარის პირი და ორი ნუსხის ფურცელი მიიღო. ბ-ნი სამხედრო გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალ. გამგეობას [illegible] საჭირო ცნობით შეავსოს, თუ რამდენსა ჰხარჯავს ქალაქი მთავრობის დაწესებულებათა შესანახად, რამდენს ეწევა სასწავლებლებს და აგრეთვე რამდენად ჯდება ქალ. გამგეობის შემადგენლობის შენახვა.

## ბ ა ქ ო

✦ ნავთის შადრევანს ასადულლაევის ნავთის სამრეწველოში ცეცხლი წაეკიდა (ბალახანაში). ხუთი მუშა დაიღუპა. ეხლა ცეცხლი ნავთის ამბარსაც მოედო.

## თელავი

✦ 20 ივლისს თელავის კლუბის დარბაზში გაიმართა ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად საღამო წ. კ. თელავის განყოფილების სასარგებლოდ. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო, ბევრი უკან გაბრუნდა, უადგილობისა გამო. შუა წარმოდგენის დროს მობრძანდა აკაკი წერეთელი, საზოგადოება ოვაციით დახვდა. საღამოს დიასახლისმა წ. კ. ს. გამგეობის წევრმა კნ. ქ. ი. რუსიევისამ დაფნის გვირგვინი მიართვა. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

23 ივლისს წარმოადგენენ „თამარ ცბიერს“, რომლის შემდეგ აკაკი სიტყვას წარმოსთქვამს.

✦ ს. ვაჩნაძიანში (შიგნით კახეთი) 16 ივლისს, აქაურ ქსენონის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც სხვათა შორის დაესწრო მცხოვანი პოეტი აკაკიც.

## ს ი ღ ნ ა ღ ი.

✦ სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც დანიშნული იყო 24 ივლისს, 31 ივლისისათვის გადაიდო.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

✦ **სოფ. არშფეგრანი** (სიღნაღის მაზრა). 14 მკათათვეს შემდეგი ამბავი მოხდა. ამ დღეს ყანის მოსამკელად მინდორში წასულა სოფლის მცხოვრები არჩილ ლალიშვილი; თან ხლებია თავის ცოლი და რძალი. სადილის დროს მათ სწვევიად ამ რამდენიმე წლის წინად ყაჩაღად გავარდნილი ლეკი. ლეკს მათთან უსადილნია და წასულა თავის გზით. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყაჩაღი ისევ დაბრუნებულა, მხრიდგან ბერდანის თოფი გადმოუღია და უბრძანებია არჩილ ლალიშვილის რძლი-

---

# ფიფქის ვარდო!

შენს ლამაზ ფეხს მიწა ჰკოცნის, შენი სახე ჰკრებს მზის სხივებს,
შენს ცეცხლის სულს მიწის ფსკერი ვერასოდეს გააცივებს;

შენი სულის ამოზგერა, შენი ცრემლი მარგალიტის,
ისე დაკრთის ღვთის ტაძარში, ვით ღუღუნი ობოლ გვრიტის!..

ფიფქის ვარდო! გაიღვიძე, თვით ცხოვრებაც სიზმარია,
სატრფოს ცრემლი, მგოსნის სევდა, შემოდგომის ზღაპარია.

* *

ბროწეულის ყვავილს ნუ სწყვეტ, ნუ მოისმენ წყაროს ტიკტიკს,
შვების თასით შხამს ნუ დალევ, ნუ აჰყვები დილის შიკრიკს;

მთის ამაყ შუბლს, ცად აზიდულს, მთის ამაყ შუბლს წარბ-ჩაღვრემილს,
მზის ცრემლებში განბანილო, ნუ დააფრქვევ ვარდის ღიმილს!..

ფიფქის ვარდო! დაიძინე, თვით ცხოვრებაც სიზმარია;
სატრფოს ცრემლი, მგოსნის სევდა, შემოდგომის ზღაპარია.

ი. გრიშაშვილი.

# კვლავ სალ-კლდეზე ვარ...

(ძღვნად ს. ფირცხალავას).

კვლავ სალ-კლდეზე ვარ, არწივის ფრთამ ზე აღმაფრინა;
ვეძებ ცის სადგურს, ქარიშხალი დამიძღვის წინა!
ნუ შეჩერდები, ქარიშხალო, შეუპოვარო;
მარად იქროლე, მეგობარო სწორ-უპოვარო!

*

დეე, დაიმსხვრას ჩვენი ტლუ ნავი,
ზღვის ფსკერს მოექცეს გული დამწვარი
და ნიაღვარად თავს წარგვედინოს
უბედურება სხვა და სხვა გვარი;
დეე, რაც გვიყვარს, უფსკრულს შთაინთქას:
სატრფო გულისა და მეგობარი;
დეე, ამ ქვეყნით განძევებულთა
არსად გვაღირსონ თავ-შესაფარი,—
მაინც იქროლე, ქარიშხალო, შეუპოვარო;
ნუ შეჩერდები, მეგობარო სწორ-უპოვარო!
წუთით ერთ ადგილს ჩვენი შედგომა
იყოს სიკვდილი, ვაი და სნება;
ვიქროლოთ ვიდრე სამყარო ჰგ[…]ებს
და სულს ბორკილი არ აეხსნება;
აროდეს მოვკვდეთ: ცათა და ქვეყნად
ნუ აღიგავოს ჩვენი ხსენება;
შემომფიცევი, რომ ჩემთან ერთად
არ ჰპოვო სულის შენ მოსვენება
და არცა შესდგე, ქარიშხალო, შეუპოვარო;
მარად იქროლო, მეგობარო სწორ-უპოვარო!
ცისა ვარსკვლავებს დავუახლოვდეთ,
ვსცნათ ყოველივე შეუცნობელი;
აღმოვიკითხოთ ვინ შობა მთვარე
და ან მზე, ყოვლის მანათობელი;
ტურფა ეთერსა, პირ-მშვენიერსა,
მივუძღვნად გული დაუქენბელი;
ვუთხრათ: შენ იყავ და კვლავაც შენა ხარ,
ჰაეროვანო, სულის მკობელი.
არ მიღალატო, ქარიშხალო, შეუპოვარო;
მარად იქროლე, მეგობარო სწორ-უპოვარო!
ჩუ, შორს გაისმა სიოს სისინი,
ნისლი ზე იწევს, უბერავს ქარი;
მომეცი ფრთანი, ჰა, ქარიშხალო,
სულით ვარ შენებრ შეუპოვარი;
გამოვეთხოვოთ ჩვენსა ტაძარსა,
უკანასკნელად ჩამოვკრათ ზარი
და იქ წამიყვა, სადაც სჭექს მეხი,
სად ცხოვრებაა გულ-შესაზარი!
განაგდე შიში, მეგობარო სწორ-უპოვარო
და აღმაფრინე ცის სივრცეში, შეუპოვარო!

ქიათურა.

ნ. ახახპირელი.

# საშინელება ქალაქისა

(არკადი ავერჩენკო).

1.

დაარბენინებენ ავტომობილებს და თავიანთ მოულოდნელის ყვირილით გამვლელ-გამომვლელთ აშინებენ, გამწარებული აწკარუნებენ ელექტრონის ტრამვაის ზარებს, ისმის დაუსრულებელი თქარა-თქური ცხენებისა, ბრწყინავს ელექტრონის ლამფები და გამაგებით ტრიალებს სინემატოგრაფის ლენტი; ცხოვრების წყურვილით გატაცებული ბრბო დაძრწის ქუჩა-ქუჩა, თეატრებში, სადაც გარყვნილსა და საძაგელ პიესებს აჩვენებენ,—ყველა ამ საცოდაობაში ტრიალებს დაღლილობისაგან თავ-დამძიმებული და თვალებმიმქრალი ადამიანი და ვერც კი წარმოუდგენია, რა გასაოცარ, საშინელ ავადმყოფობას ატარებს თავის არსებაში...

—

გიმნაზიის მასწავლებელი სვერკალოვი სარკის წინ იდგა, საყელოს იკეთებდა და რაღაცას ბუტბუტებდა.

ცოლმა შეჰხედა და მეგობრულად გაუღიმა.

— რა იყო? გრძნობ, რომ სიამოვნება და მოსვენება მოგველის? აბა—ვინძლო არ დაიგვიანო!

გულში კი გაიფიქრა:

— წავიდეს. მაშინვე კერვას დავიწყებ და დღეობისთვის საშინაო ფეხსაცმელებს დაუმზადებ... კარგი იქნება, თუ ისე შევკერე, რომ ქმარმა ვერ გაიგო.

ამავე დროს სვერკალოვმა გულში რაღაც სიმძიმე იგრძნო, ფეხები აუკანკალდა და გულიც ისე გაუცივდა, თითქოს ყინულიაო.

— ეს რაღასა ნიშნავს? რა ამბავია?—გაუელვა თავში.—რათა სთქვა: —„აბა ვინძლო არ დაიგვიანო“... რასა ნიშნავს „სიამოვნება და მოსვენება?..“ რასა ჰფიქრობდა, როდესაც ამას ამბობდა?

სვერკალოვი ჩაფიქრდა და თავი ჩაჰქინდრა.

— იქნება ჰგონია, რომ ლიკუშინიანთას თვით ქ-ნ ლიკუშინას სანახავად მივდივარ?.. იქნება ჰფიქრობს, რომ ჩვენს შორის რაიმე კავშირი არსებობს? რა სისულელეა!? თუ ეს ასეა—ეს სულელური ეჭვი ერთბაშად უნდა გავფანტო...

— გულ-ახდილად მითხარი, — ნაძალადევის გულგრილობით შეეკითხა სვერკალოვი ცოლსა,—როგორ გგონია, როგორია ქ-ნი ლიკუშინა?

თვალი თვალს გაუყარა.

— არა უშავს რა. კარგი რამ არის,—გულგრილად უპასუხა ცოლმა,—კიდევაც შეიძლება მოეწონოთ.

— რაო, რაო?—და სვერკალოვს ცივმა ოფლმა დაასხა.—რასა ნიშნავს ეს ეჭვიანი ლაპარაკი?

ცოლი საშინაო ფეხსაცმელებზე ფიქრობდა და ამიტომ შეკრთა, როდესაც სვერკალოვმა მკლავში წაავლო ხელი.

— მაშ, იცოდე, რომ ეს ვიღაც ლიკუშინაა, მეჯავრება, მეზიზღება!

ცოლმა გაკვირვებით შეხედა ქმარსა.

— რათა? რა დაგიშავა?

სვერკალოვს არავითარი გრძნობა არ აკავშირებდა ქ-ნ ლიკუშინასთან და ამიტომ ცოლის კითხვამ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

— ეჭვობს—გაიფიქრა სვერკალოვმა. — სწორედ ეგრეა — ეჭვობს... რათა?—სთქვა ხმა-მაღლა,—რათა?..

და ყოველ-გვარ ეჭვის თავიდან ასაცილებლად, საწყალმა მასწავლებელმა ყველაფერი დაივიწყა და სთქვა:

— იმიტომ, რომ საყვარელი ჰყავს.

ცოლმა მხრები აიჩეჩა და გაიღიმა.

— მერე შენ რა... შენ ხომ არ გიყვარს?

— რაო? რათა მკითხე ეგა?! — ცოლს ხელი სტაცა. — მითხარ, რათა მკითხე? იქნება ეჭვიანობ?.. ჰა, სთქვი, ჩქარა სთქვი..

...სთვის „ტყეში გამოძყო“. ლალიშვილი სცემია ყაჩაღს, წაუქცევია, ცედაკაცების დახმარებით თოფი წაურთმევია. ყაჩაღს ამ ბრძოლის დროს ამოუღია ხანჯალი და ლალიშვილი მკლავში დაუჭრია. ქალებს ცულით რამოდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიუყენებიათ ყაჩაღისთვის. ამის შემდეგ მათ შეშინებიათ, გაქცეულან სოფელში შესატყობინებლად. სანამ მოეშველებოდნენ ყაჩაღიც და დაჭრილი ლალიშვილიც დახოცილიყვნენ.

◆ **ს. ძველი გავაზი** (თელავის მაზრა). ამ სოფელში შემდეგი აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. ამ სოფლის მცხოვრები კურტანიძე თურმე უდივრად ეპყრობოდა თავის მეუღლეს და **ჯოხით** სცემდა ხოლმე. უკანასკნელად ისე ძალიან უცემია კურტანიძეს თავის მეუღლისთვის, რომ იგი უკვე გარდაიცვალა.

◆ **სოფ. ტყაჩირში 16** ივლისს, შემდეგი შემზარავი ამბავი მომხდარა: იოსებ ცინცაძის მეუღლეს ჩხუბი მოუვიდა მეზობელ ქალთან. უკანასკნელმა ცინცაძის ქალს ქვა ესროლა. იოსები გამოსდევნებია იმ ჯგუფს, სადაც ქალი მიიმალა; ამ დროს ჯგუფში მყოფი ლალიძე და შენგელია მოუბრუნდნენ და საშინლად გალახეს. ცინცაძეს საფეთქლის ძვალი მთლად გამსხვრეული აღმოაჩნდა და მარჯვენა თვალი სულ გაფუჭებული აქვს. ცინცაძე ქალაქის საავადმყოფოში წევს.

◆ **მუხრანი** (ახალქალაქის მაზრა). ნერსეს და სიბო მარქარიანებმა, ხოსრო და გრიქორ პანკრატიანცებმა რევოლვერით მოჰკლეს თანამგზავრი, სოფ. განჯის მცხოვრები, ხაჩატურ ხაჩატურიანცი.

◆ **კოლონია ეკატერინეფელდი** (ბორჩალოს მაზრა). ვაჭარ მახმედ ქერბალაი იბრაგიმ ოღლისთან მისულან მაშადი ირზა რაგიმ ოღლი და სეიდ აბაზ მირზა ოღლი. აქვე ყოფილა ჯაფარ მუსტაფა ოღლი. ვაჭარს მაშადი ირზასი 550 მანეთი ჰმართებია. მათ ღამე გაუთევიათ. პირველ ორს აივანზე დაუძინია, ვაჭარი და ჯაფარ მუსტაფა ოთახში დაწოლილან. უკანასკნელს სასთუმალს ქვეშ ამოუდვია რევოლვერი. დილით ადრე ისინი რევოლვერის ხმას გამოუღვიძებიათ. მაშადი ირზა მოკლული უნახავთ. ვაჭარი იქ არ აღმოჩნდა. უკანასკნელი შეიპყრეს.

## მშვენიერი საჩუქარი

ქართველ საზოგადოებას უნდა მივულოცოთ: დაიბეჭდა და გამოვიდა არ. ჯორჯაძის ნაწერების მეორე წიგნი, სახელდობრ „ჩვენი საზოგადოებრივობა“. მშვენიერი საჩუქარი მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ. ამ რამდენიმე კვირის წინ გაზ. „თემში“, № 26, აღვნიშნე პირველ ნაწილის მნიშვნელობა ჩვენთვის. იქ ნათქვამს აღარ გავიმეორებ. არ. ჯორჯაძის პუბლიცისტურ ნაწარმოების მეორე წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. არ. **ჯორჯაძე** მოგვითხრობს ჩვენს ინტელიგენციის შესახებ, მის გულის ნადებს, მის ლტოლვილება-მისწრაფებას. არ. **ჯორჯაძესა** ჰსურს ჩვენის ინტელიგენციის გულსა და სულში ჩაგვახედოს. წაიკითხეთ ეს ძვირფასი წიგნი, ჩაუკვირდით მას, დაუკვირდით ჩვენი მეთაურების, ჩვენი ერის მოწინავე ნაწილის სულისთქმას; ჩაუკვირდით მის შეცდომებს, მის იმედებს და მაშინ მიხვდებით, თუ რისთვის და რანაირად დაბეჩავდა ჩვენი ერი, რისთვის ჩამოჰრჩით სულიერად გონებრივ წინმსვლელობას, განათლებას, პროგრესს. „ინტელიგენციის ძალა ხომ **მის ცნობიერების** ძალაში ისახება. ეს ძალა იმდენად არის ძალა, რამდენადაც იგი თავის თავის მცნობია. **თავის თავის ცნობა** კი არის უწინარეს ყოვლისა **ცნობა თავის თავის უფლებისა.** და რამდენადაც დავაკვირდი საგანს, ქართველ ინტელიგენციის მე-19 საუკუნის ისტორია **არ არის თავის უფლების მცნობ ერისა** ინტელიგენციის ისტორია“ (ხაზგასმული ყველგან ჩემია), აი რას გვეუბნება თავის ძიების დასასრულს არ. ჯორჯაძე და მთელი წიგნი ამ აზრის დამასაბუთებელია. ასეთი მწარე დასკვნა მოჰყვა ქართველ ინტელიგენციის ისტორიის გათვალისწინებას, მე-19 საუკუნის განმავლობაში. მაგრამ ამასთანავე, ამ უნუგეშო, სავალალო მოვლენასთან ჩვენი პუბლიცისტი ამჩნევს, ხედავს საიმედო, სანუგეშო მოვლენებსაც, რომელიც მომასწავებელია უკეთესის მომავლისა. „არა, უნუგეშო ისტორიაა, ქართველი ინტელიგენციის ისტორია მე-19 საუკუნეში, მაგრამ ჩვენდა სანუგეშოდ, ამგვარ უილაჯობას თითქმის ბოლო ელება. ფიალა ბოლომდე აივსო და **ალორძინების ნიშნები** 19 საუკ. ბოლოშივე აღმოჩნდა“. სიხარულით გვეუბნება ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი.

არ. ჯორჯაძე პირველი ისტორიკოსია ჩვენი ინტელიგენციისა; პირველად ვრცლად და დალაგებით მოგვითხრობს მის ვინაობას და გადმოგვცემს საზოგადოებრივ რწმენას. თუ დავთანხმდებით იმის შესახებ, რომ ხალხის ცხოვრების თავი და გული ინტელიგენციაა, თუ ის ბელადია და მებაირახტრე ხალხის მხედველობაში სინათლისაკენ, განათლებისაკენ, სულიერ და ქონებრივ კეთილდღეობისაკენ, მაშინ რამდენად ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის ამგვარი წიგნი. აიღეთ წიგნი და ისწავლეთ; გაიკვლიეთ გზა—ისარგებლეთ ჩვენი ინტელიგენციის ნებსითი და უნებლიედ წარსულ შეცდომებით. აი რას გვეუბნება და რას გვასწავლის გ. არ. ჯორჯაძის ახალი წიგნი. იგი ყოველთვის სახეში უნდა იქონიოთ, უნდა დაივიწყოთ ის გზა, რომელიც განუვლია ჩვენს ინტელიგენციას, რომელიც გვაჩვენა არ. ჯორჯაძემ.

ვინც საქართველოს ბედ-იღბლისათვის ზრუნავს და სწუხს, იგი უსათუოდ უეჭველად მუდმივ მიჰმართავს ამ წიგნს, იგი დაამშვენებს თქვენს წიგნთსაცავს და ბევრს რამეს ჩვენი წარსულისას განგინათლებსთ.

ერთი რამ ძლიერ მაფიქრებს და მაწუხებს. სხვაგან სადმე რომ ასეთი წიგნები გამოსულიყო, როგორც არ. ჯორჯაძის ორი წიგნია (ისინი ჩვენი ცხოვრების სარკეა), ასეთი მოვლენა ეროვნულ აზროვნების დღესასწაულად ჩაითვლებოდა, ლაპარაკს, კამათს გამოიწვევდა. ჩვენში?! თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, თითქოს გამოვიდა ისეთი წიგნები, რომელიც ყოველ დღე გამოდიოდეს. არა მგონია; ასეთი წიგნი პირველი მოვლენაა ჩვენში, ეს პატარა დღესასწაულია ჩვენი ეროვნული აზროვნობისა და ეროვნული შეგნებისა და უფრო მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე მას ჰხვდა. რასაკვირველია, მე პირველ წიგნზე ვლაპარაკობ, ვინაიდან ის დიდი ხანია დაბეჭდილია, თუ ასე ჩუმად ჩაიარა მეორე ნაწილის გამოქვეყნებამაც—სამწუხარო და საწყენი იქნება.

ქართველ ინტელიგენციის **პირველ ისტორიკოსს** ჩვენი საზოგადოება უეჭველია უძღვნის გულწრფელსა და ღრმა მადლობას ამ გულმოდგინე, ცეცხლითა და გულისწყრომით შექმნილ შრომისათვის.

**სიმ. ავალიანი.**

(„კოლხიდა“).

## თ-დ კ. მ. ამირეჯიბის მამული სოფ. ავლევში.

როგორც ჩვენის გაზეთის მკითხველთ მოეხსენებათ, 9 ივლისს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გაჰგზავნა კომისია სოფ. ავლევს, თ-დ კ. მ. ამირეჯიბის მიერ გამართულ სკოლის დასათვალიერებლად. ჩვენი განათლებული და მხნე მეურნე თ-დ კ. მ. ამირეჯიბს აწ არსებულ სამრევლო სკოლის გაფართოვება ჰსურს. მას განუზრახავს რამდენიმე სამეურნეო კლასი მოუმატოს, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთ შეეძლებათ გამოცდილებით შეისწავლონ ახალ მეურნეობის ძირითადი პრინციპები და ტეხნიკა. ამ სკოლის მოწაფეთ შეეძლებათ თავის თეორეტიულ ცნობებს მკვიდრი პრაქტიკული ნიადაგი დაუდვან თ-დ კ. მ. ამირეჯიბის საუცხოვოდ გამართულ მამულში; მამული, როგორც მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში (იხ. № 15 ივლისის თარიღით, თავ. კ. მ. ამირეჯიბის მამული, სოფ. ავლევში), მოწყობილია, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე ტეხნიკა და მეცნიერება.

ჩვენის გაზეთის დამატების დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ სამს სურათს, რომელიც გადაღებულია თ-დ კ. მ. ამირეჯიბის მამულში.

## სოფლის ბავშვების ექსკურსია

რაც ექსკურსიის შესახებ დაწერილა და თქმულა ამ ბოლო დროს, სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ სოფლის მასწავლებელსაც მოანდომებინოს და გაბედვინოს მისი მოწყობა. ჩვენც, **ჯვარცხმის** და **ბახვლეთის** სკოლის მასწავლებლებს, თუმცა კარგად გვესმოდა მისი სიძნელე, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ მოგვეწყო ბავშვების ექსკურსია ჩაქვში, ბათომში და ფოთში.

ნებართვაც ავიღეთ ბავშვებს ექსკურსიის მნიშვნელობა ავუხსენით, მოვაგონეთ უწინდელი ექსკურსია მახლობელ მონასტრები და გამოვუცხადეთ თითოს 2 მ. 50 კ. ეშოვნა. **ჯვარცხმაში** შევაგროვეთ 30 ექსკურსანტი. **ფარცხმის** სკოლის ზედამხედველმა შეიგროვა 22 ექსკურსანტი.

13 ივნის დილის 7 ს. გზას გავუდექით. ნიგოითის სადგურამდე ფეხით უნდა მივსულიყავით. ბავშვები დიდის ხალისითა და სიმღერით მიდიოდნენ შუადღისას ჯიხეთის დედათა მონასტერში ავედით. ეს მონასტერი გაშენებულია მაღლობ ადგილას. სულ 20 წელია, რაც სივიწროვის გამო ძველი ადგილი დაუტოვებიათ და აქ, ახლოვე გადმოსულან. იგი ელენე მგალობლიშვილის ასულს დაუარსებია. ეხლა იქ 50 ქალმონოზონია. აქვთ პატარა ქვიტკირის ეკლესია და საქალებო სკოლა 20 25 მოსწავლით. მონასტერს მთავრობა 500 მ. აძლევს და მასწავლებელ ქალსაც 400 მ. მოლოზნები მისდევენ მეაბრეშუმეობას, აშენებენ ვენახს, მოჰყავსთ ბოსტნეული და ცოტა ფუტკარიცა ჰყავთ. თვითონ წინამძღვარი ე. მგალობლიშვილის ქალი შინ არ დაგვიხვდა, მაგრამ მოლოზნებმაც მოახერხეს და სადილი გვაჭამეს სასყიდელი არ მიიღეს.

სალამოს ნიგოითში ჩავედით რომელიც მონასტრიდან 4 ვერსზეა. დაშორებული. აქ მზად დაგვხვდა ბინა ნიგოითის ორკლასიან სასწავლებელში. დავათვალიერეთ ამ სკოლის შალაბრეშუმეულობის საქსოვი საფეიქრო. ნიგოითის მასწავლებლები კარგად დაგვიხვდნენ და ხელი შეგვიწყვეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით.

14 ივნისს დილის მატარებლით ბათომისაკენ გავწიეთ. დილის 6 ს. ჩაქვაში ჩავედით. აქ ჩაის პლანტაციებისა და ქარხნის დასათვალიერებლად გავჩერდით. გამოველით ვაგონიდან თუ არა, ბავშვები ზღვისაკენ გაექანნენ. დიდის აღტაცებით გაჰყურებდნენ თვალუწვდენელ ზღვის ზედაპირს და გატაცებით ეალერსებოდნენ მის ცელქ ტალღებს, რომელიც შრიალით მოგორავდა ნაპირისაკენ და თეთრ ქაფად ქცეული ისევ უკან იქცევოდა. ძლივს-ძლივობით მოვაშორეთ ბავშვები ზღვას, რომ საუზმე გვეჭამა. ბევრმა საუზმე ვერ ხჭამა მადიანად, ზოგიც გაიპარა და ისევ ზღვას მიაშურა.

ნასაუზმევს ბავშვები პლანტაციებისა და ქარხნის სანახავად წავიყვანეთ. ჩაქვის მიდამოები საუცხოვო სანახავია და ბავშვებსაც ძლიერ მოეწონათ, თუმცა თვალი ისევ ზღვისაკენა ჰქონდათ. ჩაის ქარხნამდე ორიოდე ვერსი გავიარეთ. პლანტაციებში მუშები იყო და ფოთლებს ჰკრეფდა. ქარხნის გვერდით ცემენტის ვრცელ იატაკზე გაფანტული იყო დაკრეფილი ჩაის ფოთოლი. ქარხანაში დაგვხვდა ბ-ნი ქიქოძე, რომელმაც დაწვრილებით აგვიხსნა ჩაის მოვლა—მოშენება და დამუშავება. თვითონ მე, უნდა გამოვტყდე, რაც ვიცოდი ჩაის შესახებ, მხოლოდ „ბუნების კარიდან“ და მეგონა, რომ ჩაის ფოთლებს მართლაც ძაფებზე ასხავენ და შემდეგ ხელით ჰქუჩავენ დაფნის ჭილოფებზე. მაგრამ ჩაქვის ქარხნის დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ ჩაის ამზადებენ ათასგვარი მანქანების საშუალებით და ხელით სამუშაო არაფერია, გარდა მოკრეფისა და აღებ-დალაგებისა. მეშინოდა და ვწითლდებოდი ბავშვებმა არა მკითხონ, რატომ წიგნში სხვაფერ სწერია და შენც სხვანაირად აგვიხსენი და აქ კი სულ სხვასა ვხედავთო. მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთი კრიტიკოსი არავინ აღმოჩნდა. კარგს იზამს ბ. ი. გოგებაშვილი თუ შესაფერ ცვლილებას შეიტანს თავის სახელმძღვანელოში. როცა ყველაფერს დაწვრილებით გავეცანით, უკან დავბრუნდით. გზაზედ შევუხვიეთ 1 პატარა სახელოსნოში, სადაც ბამბუკისაგან აკეთებენ სხვა და სხვა ავეჯეულობას.

11 საათის მატარებლით ბათომისაკენ წავედით. 12 საათზე უკვე ბათომში ვიყავით. სადგურიდან პირდაპირ ბულვარისაკენ გავსწიეთ. ნასადილევს ქართულ სკოლაში წავედით, სადაც ბინა დაგვითმო მ. გ. შარაშიძემ, რისთვისაც დიდად ვმადლობთ. იქ კარგად დავისვენეთ და როცა მოსაღამურდა წავედით ალექსანდრეს [illegible] იქ ერთხანს ზღვის პირას [illegible] შემდეგ ბარცხანის სკოლის მასწავლებელმა ი. კალანდაძემ ყველა ექსკურსანტები წაგვიყვანა პროექტორში თავის ხარჯით, რითაც ბავშვები დიდი ნასიამოვნები დარჩა და ჩვენც დიდ მადლობას ვსწირავთ.

15 ივნისს დავათვალიერეთ საქალაქო სკოლის მუზეუმი. განმარტებას იმავე სკოლის მასწავლებელი გვაძლევდა ბავშვების ყურადღება ვებერთელა ზღვისკუმ მიიქცია. აქვე ვუჩვენეთ ბავშვებს ლოთისა და სალი კაცის გულ-ღვიძლი, იშვიათი თევზები, ქვეწარმავალნი სხვა და სხვა მატლები, ნახაგი და ნახელსაქმი პაპიებმისა და გიპსისაგან და წავედით კათოლიკეთა ეკლესიის სანახავად. იქ გვითხრეს საღამოს თუ მოხვალთ, ლოცვა იქნებაო. ჩვენც ძალიან გვეინტერესებოდა მაგ ლოცვის მოსმენა და გადავწყვიტეთ საღამოს მოვბრუნებულიყავით. ეხლა კი წავედით, დავათვალიერეთ სამხედრო ტაძარი და იქვე დადგმული ზარბაზნები. შემდეგ წავედით და ქალაქის ბაღში სურათი გადავიღეთ. შემდეგ დავათვალიერეთ ქალაქის მუზეუმი, სადაც ბავშვებს ვაჩვენეთ ადამიანის შიგნეულობის და თავის დასაშლელი მოდელი, ქამელეონი და სხვა. ამასობაში 5 საათმაც მოაწია და კიდეც დარეკეს კათოლიკების ეკლესიაში. ჩვენც წავედით საყურებლად. შეასრულეს სულ მოკლე ლოცვა. საამოდ გალობდა ორი ხმა ორგანთან ერთად. ლოცვა დაასრულეს ქართული გალობით: „დედაო ღვთისაო, შენ დაიცავ ქართველი ერიო“. ტანში ჟრუანტელმა დამიარა... ყურებს არ ვუჯერებდი. არ მეგონა თუ ასეთი გალობა არსებობდა. ლოცვის დასრულების შემდეგ ავედით მაღლა და დავათვალიერეთ უზარმაზარი ორგანი, რომელიც 18 ათას მანეთად დაჯდარა.

შემდეგ დავათვალიერეთ ბანიატოვლის თუთუნის ქარხანა და საღამოს წავედით ორთქლ-მავალზედ, რომელიც ბათომიდან გადიოდა ნაშუაღამევს 2 ს.

16 ივნისს ზღვაზედ გამოგვეღვიძა. შორს ძლივს მოსჩანდა ფოთის კანდელი (მაიაკი). ბავშვებიც ბაქანზედ ამოვიდნენ და ზღვას გადაჰყურებდნენ. მივედით თუ არა ფოთში კანდელის სანახავად გავსწიეთ. ეს კანდელი თუჯის მაღალ კოშკს წარმოადგენს. შესავალში შემდეგი წარწერა აქვს რუსულად და ინგლისურად: ისტონ ამოს და შვილები, ინჟინერ-მექანიკოსები. ლონდონი. 1862 წ. შიგნიდან ირგვლივ უვლის ზედა სართულში ასავალი კიბე. ეს სართული წარმოადგენს უზარმაზარ ფარანს, რომელიც ნელა ტრიალებს მეულ ღერძზე და სამფერად ანათებს. ანათებენ სელეზნევის სისტემის ლამპით. კანდელის დათვალიერების შემდეგ წავედით ბულვარში და იქიდან საქალაქო სასწავლებელში, სადაც ბინა გვიპოვეს. დავათვალიერეთ ამ სკოლის სახელოსნო განყოფილება და

---

— ღმერთმა დაგიფაროს, — გაიკვირვა ცოლმა.—მე მარტო ის ვერ გამიგია, ეგრე ძალიან რათა ჰღელავ... დარწმუნებული ვარ, რომ გიყვარვარ...

— ეს რაღაა?—კანკალებდა სვერკალოვი და თან გულში ფიქრობდა.—გულწრფელობა თუ ირონია?.. რასა ფიქრობს, ნეტავი? ო, მილიონებს მივცემდი, ოღონდ კი გავიგო რას ჰფიქრობს?..

მაშინვე გადასწყვიტა ყოველ-გვარი ეჭვი განეფანტა ცოლისთვის.

— მართლა, იცი, ლიკუშინას მთელი ყბა ჩასმული აქვს... თმებსაც იღებავს.

ცოლი საშინაო ფეხსაცმელებზე ფიქრობდა და მაშინალურადა ჰკითხა:

— მართლა? მერე შენ საიდან იცი ასეთი წვრილმანები?

თითქოს გულიდან მძიმე რაღაცა მოსწყდაო, მთლად გაიყინა.

— დავიღუპე!.. სწორედ ეჭვიანობს.

გამწარებულმა ზევითა ტანისამოსი ჩაიცვა და ბოროტად შეჰყვირა:

— რას ჩამაცივდი მაგ შენ ლიკუშინათი? რასა ნიშნავს ყველა ეს?

— ღმერთო ჩემო! ვინ ჩაგაცივდა? შენ თითონ არ დაიწყე იმაზე ლაპარაკი? რა გაღელვებს? მართლა და მართლა, ლიკუშინაზე ხომ არ მივიტან ეჭვებს!

— გათავდა!—შეჰყვირა გუნებაში სვერკალოვმა.—დავიღუპე!

თავში ხელი წაივლო და სახლიდან გავარდა...

2.

ჩაჯდა თუ არა ტრამვაის ვაგონში, უპირველესად ყოვლისა ორ-შაურიანი ამოიღო და ისე დაიჭირა, რომ ყველას დაენახა: არ იფიქრონ, რომ უბილეთოდ უნდა გასეირნებაო.

კონდუქტორმა ორჯელ-სამჯერ გაიარა იმის წინ, მაგრამ ბილეთი არ მისცა. სვერკალოვი უკან მისდევდა და ერთსა და იმავე წინადადებას იმეორებდა:

— მიიღეთ, ჩემგანაც მიიღეთ... რატომ ჩემგანაც არ იღებთ?!

ბოლოს კონდუქტორი სვერკალოვთანაც მივიდა, ორ-შაურიანი გამოართვა, გადაატრიალ-გადმოატრიალა და დაუბრუნა, თანაც გულგრილად უთხრა:

— თუ შეიძლებოდეს, გამოსცვალეთ: ეს ყალბია.

— გათავდა,—გული დასწყდა სვერკალოვს.—ნამდვილად ეხლა ამ კონდუქტორსა ჰგონია რომ განგებ მინდოდა ყალბი ორ-შაურიანი შემეპარებინა. რა საძაგლობაა!

სვერკალოვმა არაბუნებრივად ჩაიცინა, სხვა ორ-შაურიანი ამოიღო და სთქვა:

— ალბად ვინმე შემომაპარებდა. აი, სხვა მიირთვით.

მერე კონდუქტორს გაყინულ სახეს შეხედა და როგორღაც მოკრძალებით ჰკითხა:

— ბევრი სამუშაო გაქვთ?

თითონვე მიხვდა, რომ ასეთი კითხვა იმ წუთს უადგილო იყო, შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად, სვერკალოვმა ხელ-მეორედ ამოიღო ჯიბიდან ყალბი ორ შაურიანი, გასინჯა და სთქვა:

— ღმერთმანი, ნამდვილსა ჰგავს? ხა—ხა! თქვენ კი უეჭველია გგონიათ, რომ ბატონს უნდოდა ხმაურობით ესარგებლა და ყალბი ორ-შაურიანი გაესაღებინაო, განა! ჰა, სთქვით, რადა, დაგწყევლათ ღმერთმა!..

გულში კი ჰფიქრობდა:

— რათ ვამბობ ამასა? სისულელეა, უაზრობაა. აკი მივუხვდი კონდუქტორს, თითქოს მართლაც ყალბი ფულის გასაღება უნდაო... ღმერთო ჩემო! რა საძაგლობაა...

სვერკალოვი დარწმუნებული იყო, რომ მეზობლებმა ეჭვი შეიტანეს, ეს უსათუოდ ყალბი ფულის მჭრელიაო, ამიტომ ერთს თავის მეზობელს მიუბრუნდა და უთხრა:

— აი ეხლა მე გიმნაზიაში ვმსახურობ, ორ ათასამდე ვიღებ წელიწადში, უზრუნველყოფილი კაცი ვარ... თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყალბი ორ-შაურიანი რომ ღარიბს შეჰხვედროდა, რა იქნებოდა? ჩემთვის კი არაფერია... სამსახური, უფროსების ნდობა... ჰმ...

მეზობელმა გაკვირვებით შეხედა სვერკალოვს და ვაგონიდან ჩამოხტა.

— გათავდა!—ჩვეულებისამებრ წამოიძახა სვერკალოვმა.—დავიღუპე!

საჩქაროდ ისიც ჩამოხტა ვაგონიდან და დანარჩენი გზა ფეხით გაიარა.

3

მოსამსახურემ სთხოვა, ლიკუშინის კაბინეთში მიბრძანდითო,

— ბატონი ტელეფონით ლაპარაკობს... ამ-სათში მოვა.

სვერკალოვმა ერთხელ-ორჯელ გაიარა კაბინეთში, მერე სტოლთან მივიდა, ტყავის პორტმანი აიღო და უაზროდ ათამაშა ხელში.

მეორე მხრიდან მოულოდნელად ხმა მოისმა:

— ა, ა, აქა ხართ!..

სვერკალოვი შეკრთა, პორტმანი ხელიდან გაუვარდა.

— ნუ შესწუხდებით,—სთქვა ლიკუშინმა და დაიხარა.—მე თითონ ავიღებ.

—გათავდა!—და სვერკალოვმა სიბრაზით კბილები დააკრაჭუნა.—რას იფიქრებს ეხლა? ან რა შეუძლიან იფიქროს? კაბინეთში მარტო მომასწრო სწორედ იმ დროს, როდესაც სხვის პორტმანსა ვსინჯავდი! ღმერთო ჩემო, რა საძაგლობაა!

— პორტმანსა ვსინჯავდი,—ავადმყოფობის მტკივნეულობით წაილუღლუღა სვერკალოვმა.—ძალიან თავისებური რამაა.

— რასა ბრძანებთ,—უპასუხა მასპინძელმა.—ჩვეულებრივი პორტმანია: აი აქ დააჭერთ ხელსა—და გაიხსნება!

— მართლა? მე კი ვერ გავხსენი.

მასპინძელმა პორტმანი გვერდზე გადადო და სტუმარს ხელი მოჰკიდა.

— მართლა? სხვა, როგორა ბრძანდებით, ჩემო ძვირფასო? რას აკეთებდით ამ ბოლო დროს?

— სხვის პორტმანებსა ვხსნიდი,—გაიფიქრა გუნებაში სვერკალოვმა და ხმა-მაღლა კი სთქვა:

— არაფერს. ერთი მითხარით, სად იყიდეთ ეს პორტმანი?.. ძალიან მინდა სწორედ ასეთი პორტმანი შევიძინო. იმიტომაცა ვსინჯავდი!

— ღმერთო ჩემო! ყოველს საცოდავს მაღაზიაში შეგიძლიანთ იყიდოთ ასეთი პორტმანი... რა ძალიან დაგაინტერესათ ამ პორტმანმა.

სვერკალოვი გადაფითრდა, გადაიხნიქა მასპინძლისაკენ.

— რათ დავინტერესდი? იქნება გგონიათ, მინდოდა გამეგო, შიგ რამდენი ფული იყო? ჰა, სთქვით, რადა, სთქვით პირდაპირ.

— რა სულელური ხუმრობაა,—გაიფიქრა ლიკუშინმა.—ხა, ხა, ძვირფასო! ბევრს კი იშოვიდით! იქ სულ რამდენიმე კაპეიკია... სხვა, ცოლი ხომ კარგადა გყავთ?

— კარგად არის,—მოკლედ უპასუხა სვერკალოვმა.—მოგსვლიათ როდისმე: აიღებთ ხელში რასმეს, ატრიალებთ, ატრიალებთ და მხოლოდ მერე მიხვდებით, რომ ხელში რაღაცა გიჭირავთ?.. მოგსვლიათ?

— არ მახსოვს,—გაიკვირვა ლიკუშინმა.—მერე რა იყო?

— ისე ვკითხულობ, მართლა, მალე ძალუაჩემისაგან დიდს მემკვიდრეობას ვიღებ. ასე რომ ფული სრულებით არა მჭირდება...

კაბინეთში დიასახლისი შევიდა და სვერკალოვს მიესალმა.

— ხე-ხე!—სთქვა სვერკალოვმა—დიმიტრი პავლიჩ, რატომ თქვენს ცოლს არ უამბობთ ამ სასაცილო ინციდენტს... თქვენ წარმოიდგინეთ, მოვედი, დიმიტრი პავლოვიჩი არ დამხვდა. სრულიად შემთხვევით ამ პორტმანს ვიღებ. უცბად დიმიტრი პავლიჩი შემოდის. პორტმანი ხელიდან გამივარდა და მეც ვიფიქრე: რა იქნება, ეხლა დიმიტრი პავლიჩს ეგონოს, რომ მე პორტმანიდან ფულის ამოღება მინდოდა!

ლიკუშინი ჩააცქერდა სვერკალოვს.

— ვერ გამიგია, რათ აძლევთ ასეთს დიდს მნიშვნელობას ამ უბრალო რამეს?—დინჯად ჰკითხა მან.

— ჩაუფიქრდა!—გაუელვა გულში სვერკალოვს.—წინად არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა და ჩემი ლაპარაკის შემდეგ, ჩაიფიქრებს, რაღაც ეჭვი დაებადა. გათავდა!.. დავიღუპე!

სვერკალოვმა საჩქაროდ გამოიღო უბიდან პორტმანი და დაიყვირა:

— ფული მაქვს... აი სამასი მანეთი! მე სხვის ფული არ მინდა... ნუ გგონიათ!.. ნუ გგო... გგო...

სკამზე დაეცა და ისტერიკული ტირილი ატეხა.

ლიკუშინები დაფაცურდნენ, წყალი მიიტანეს, საფეთქლები დაუზილეს... ჰკვირობდნენ.

4

ფანჯრის იქით სიმხიარულე იყო. დარბოდნენ ავტომობილები, ბრწყინავდა ელექტრონი, წკარა-წკური გაჰქონდა ტრამვაის ვაგონების ზარს და დღესასწაულობდნენ თავიანთ ტლანქსა და მოუხეშავ გამარჯვებას ადამიანზე...

**ქეთინო.**

ყველაფერს დაწვრილებით გაგვაცნეს, სხვათა შორის მოტორსაც. ნასადილევს პოლიასტომის ტბის სანახავად წავედით. აქ დავიქირავეთ ვეებერთელა ქალადიდური ნავი, რომელშიაც თავისუფლად მოვთავსდით ყველა ექსკურსანტი (60-მდე) და შუა ტბაში შევცურდით. ბავშვები დიდ სიხარულში იყვნენ, რასაც სხვა და სხვა სიმღერებით ხატავდნენ. მოიგონეს ე. ნინოშვილი და მისგან ასე საუცხოვოდ აწერილი უბედური შემთხვევა პოლიასტომის ტბაზე.

17 ივნისს დილით ეტლებით სუფსის სადგურზე ამოვედით, იქიდან მატარებლით ნიგოითამდე და შემდეგ ფეხით გავუდექით ხონის გზას. სიცხის გამო ჯიხეთის მონასტერში შევუხვიეთ და იქ დავრჩით საღამოს 6 საათამდე. 9 საათზედ კი უკვე თავიანთ სახლებში გახლდით და ექსკურსიის ამბავს ვლაპარაკობდით.

ყოველივე ეს გზისა და ხარჯის ფულიანად ბავშებს დაუჯდათ 2 მ. 10 კაპ.

საერთოდ ინდა ითქვას, რომ ამ პირველმა ცდამ სასურველად და ნაყოფიერად ჩაიარა. ვინც აწ მოისურვებს წასვლას, უნდა იცოდეს, რომ მრავალრიცხოვანი ექსკურსიისთვის ძალიან ძნელია მატარებელში ადგილის შოვნა. ვაგონის გამოწერა კი მთელი ისტორიაა და 3—4 დღით წინ უნდა შეეცადნენ. ძნელია აგრეთვე ბევრისთვის ყველგან ბინის შოვნა. ერთი სიტყვით 50 სულს მაინც არ უნდა აღემატებოდეს ყველა ექსკურსანტების რიცხვი.

დასასრულ განმეორებით დიდ მადლობას ვუძღვნით ყველა იმ პირს, ვინც როგორმე ხელი შეგვიწყო და დაგვეხმარა. **ექსკურსანტი.**

# უცხოეთი

**მაროკო.**

ის ხმა, ვითომც საფრანგეთ გერმანია მამულებს გასცვლიან და დამშვიდდებიანო, ტყუილია. ნამდვილად საქმე ასეა: გერმანიას კონგოს ხელში ჩაგდება უნდა, სამაგიეროდ იგი საფრანგეთს არას ჰპირდება, გარდა ნეიტრალიტეტისა, ისიც მხოლოდ მაროკოს საქმეებში. ეს მოთხოვნილება გერმანიისა, საფრანგეთს ნამეტურად მიაჩნია, ამიტომ თუ გერმანია თავის მოთხოვნილებებს დაუკლებს, მაშინ ადვილად მორიგდებიან. სხვაფრივ კი, ის ხმები, ვითომც მორიგება მალე მოხდებაო, ტყუილია. მოლაპარაკება დიდხანს გასტანს. სულ სხვანაირი ამბავი მოდის ამავე საქმის შესახებ ლონდონიდან; იქაური პოლიტიკური წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთი და გერმანია, მაროკოს გარეშე მამულებს გასცვლიან და საქმეც მალე გათავდებაო.

იმედი ჰქონდათ, რომ კიდერლენ-ვეხტერისა და იმპერატორ ვილჰელმის მოლაპარაკება საქმის მსვლელობას შესცვლიდა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა: იმპერატორმა მინისტრთა მოქმედება სავსებით მოიწონა. გერმანიის სამინისტრო მოლაპარაკების შესახებ არას ამბობს. კიდერლენ-ვეხტერს საფრანგეთისათვის ორჯელ დაუთმია რაღაცეები, მაგრამ რა და როგორ, ეს კი არავინ იცის.

— ინგლისის მეორე ესკადრას ბრძანება მიუღია, წასასვლელად მოემზადეო. რათა ჰგზავნიან ეს კი არ შეუტყვიათ მისთვის.

**ჩინეთი.**

— ჩინეთის სამხედრო სამინისტროს მანჯურიის ვიცე-კოროლისათვის ნება მიუცია, შეიძინოს გერმანიის ქარხნებს ჯარისათვის საკმარისი იარაღი.

— დიათიანში რამდენიმე ხუნხუზი შესულა ერთ მდიდარ ჩინელის კანტორაში, მოსამსახურეებისათვის რევოლვერები მოუდერებია და ფული მოუთხოვნია. მოსამსახურებს 7.000 იენი მიუციათ. ხუნხუზები მიმალულან.

— გირინში იაპონელთა ფოსტა მიდიოდა. გზაში ხუნხუზები დაუხვდნენ და სროლა აუტეხეს. ერთმა ფოსტალიონმა გაპარვა მოახერხა და რაც კი ფოსტაში ფული იყო, თან წაიღო. ხუნხუზებმა მეორე ფოსტალიონი შეჰკრეს და ფოსტა გაჩხრიკეს, მაგრამ იქ ვერარაფერი ნახეს. გაბრაზებულებმა სცემეს ხელ-ფეხ გაკრულ ფოსტალიონს და ხელ-ცარიელნი წავიდნენ.

# რუსეთი

საერთაშორისო კომისიამ იუსტიციის მინისტრის თანაშემწე ვერიოვკინის თავჯდომარეობით მიიღო განცხადება სამუსიკო ნაწარმოებთა გამომცემელ რუსულ საზოგადოებისაგან საფრანგეთთან შეთანხმების შესახებ. საქმე ის არის, რომ უკანასკნელი კანონის ძალით რუსეთში უნდა დაცული იყოს საზღვარგარეთის ნაწარმოები და რუსული კი არ არის დაცული საზღვარგარეთ. გამომცემელთა საზოგადოება შუამდგომლობს რუსეთი შეუერთდეს ბერნის საერთაშორისო შეთანხმებას სალიტერატურო და არტისტიულ ნაწარმოებთა დასაცველად. დრამატიულ ნაწარმოებთა ავტორთაგანაც ვერიოვკინმა მიიღო ასეთივე განცხადება ბერნის შეთანხმებაში მონაწილეობის მიღებისა. კომისიამ მიიღო კიდევ საფრანგეთის მთავრობისაგან ბერნის შეთანხმების მსგავსი შეთანხმების პროექტი და მასთან რუსის ახალ კანონის მიხედვით არის შედგენილი ე. ი. 50 წლის ნაცვლად 10 წელია მიღებული ავტორის უფლებისათვის. პროექტის განხილვისა და მოწონების შემდეგ პარიზს გაიგზავნება წარმომადგენელი უკანასკნელად მოსალაპარაკებლად.

— კიევში რუსის ნაციონალისტებს გადაუწყვეტიათ შესცვალონ წესი მე-IV სათათბიროში არჩევისა. მაზრებში ადგენენ კომიტეტებს. ამ შემოდგომას და ზამთარში წაიკითხავენ ლექციებს ნაციონალიზმზე. ხელმძღვანელებად გამოდიან ახალ ერობის მოთავენი.

— არხიმანდრიტ ვიტალის, დუბროვინის დახმარებით, გადაუწყვეტია მოიწვიოს ჭეშმარიტ რუსთა კრება. ეს კრება საჭიროდ მიაჩნიათ სათათბიროში არჩევნების წინ მოსალაპარაკებლად და ერთსულოვნობისათვის.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**თეირანი.** ფოსტა ტელეგრაფის მინისტრი, რომელიც სადღაც დაიმალა, ევროპას გამგზავრებულა. მან გზიდან თხოვნა გამოგზავნა და თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა. ფინანსთა მინისტრის ამხანაგი მოაზედუნ-მულკი სამსახურიდან გადააყენეს, რადგანაც ეჭვი შეეპარათ, რომ მას სალარუდ-დოულესთან კავშირი უნდა ჰქონდეს. მოაზედუნი ქირმანშაის დეპუტატი იყო, ზომიერი და მეჯლისის მდივნად იყო. მის ადგილას დაინიშნა დემოკრატი ამიდულ ხუკერი.

**ბერლინი.** სპარსულების ლიბერალურმა კომიტეტმა რეიხსტაგს ადრესი გაუგზავნა და პროტესტი განუცხადა რუსეთის მოქმედებას სპარსეთში, ამავე დროს მოითხოვეს, რომ რუსეთის ჩარევას სპარსეთის საქმეში ბოლო მოეღოს.

**თეირანი.** მეშედში მუშტეიდ საჯი-იბრაგიმის მეთაურობით კონსტიტუციის 3000 უკმაყოფილონი ბესტში ჩაჯდა. ჯარის სარდალმა ბესტს ალყა შემოარტყა. ასტყდა სროლა. ზოგიერთი ტყვია სპარსეთის ბანკს მოხვდა. რუსეთის მისიის მოთხოვნით ალყა ახსნეს. უკმაყოფილონი ბესტიდან გავიდნენ. უწესოება მოისპო.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატებისა, ინგლისისა და საფრანგეთის სამედიატორო პირობას ხელი მოაწერეს.

**პორტ-ო-პრენს.** აჯანყებულნი ქ. დაქში შევიდნენ. უწესოების დროს 40 კაცი მოკვდა.

**ბერლინი.** კამბონი და ვეხტერი მოლაპარაკებაში პრინციპიალურად შეთანხმდნენ.

**მონასტერი.** ვილაეტში საქმე რთულდება. თითქმის ყოველ დღე ქრისტიანთა ხოცვა და აწიოკება. ალბანელთა მოძრაობა ძლიერდება. 18 მკათათვეს ბრძოლა იყო. 6 აჯანყებული მოჰკლეს. კორხში ზარბაზნები გაიგზავნა.

**პარიზი.** „მატენი“ ამბობს, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება რიგიანად მიდის, საერთაშორისო კონფერენცია შეუძლებელია. „ჟურნალი“ სულ საწინააღმდეგოს ამბობს.

**რ უ ს ე თ ი.**

**ნოვგოროდი.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა გახსნა მე-15 კრება არქეოლოგთა. თავმჯდომარედ აირჩიეს გრაფ. უვაროვისა დაესწრნენ საზღვარგარეთელი სწავლულნი. შესდგა 9 ჯგუფი.

**სიმბირსკი.** საგუბერნიო ერობის საგანგებო კრებამ გადასდო დამშეულთა სასარგებლოდ 2,254.000.

**მოსკოვი.** ჩამოვიდა სინოდის ობერ-პროკურორი.

**კიევი.** სამოსწავლო კომისიამ 2,500 მ. გადასდო ხის თოფებისა, ქუდებისა, და ხალათების შესაძენად 1,000 თავშესაქცევ რაზმის უმაწვილისათვის, დანარჩენი 1000 უმაწვილი მშობლებმა უნდა შემოსონ მოთხოვნილებისამებრ.

**ოდესა.** ბაკტერიოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა ორი შემთხვევა შავი ჭირით ავადმყოფისა.

**პეტერბურგი.** სხვა და სხვა ქალაქიდან ჩამოვიდა 1700 უმაწვილი-შოტეში.

**რიგა.** გელიკოლდუგაში აკლდამის თხრის დროს ამოთხარეს მეფე საუკუნის მეომართა ჩონჩხი.

# თეატრი და ხელოვნება

დღეს, ავლაბრის თეატრში სცენის მოყვარენი ითამაშებენ სუმბათაშვილის „ღალატს“.

—

**ს. ბოდბისხევი** (სიღნაღის მაზრა). ამ თვის ოცში ამ სოფლის სახალხო სახლში ადგილობრივ სცენის მოყვარეთ ილიას საღამო გამართეს, საღამო უფასო იყო. წარმოადგინეს „ბატონი და ყმა“. წარმოდგენის წინ ბ. თედო ბეგიაშვილმა რეფერატი წაიკითხა. მან გააცნო დამსწრე საზოგადოებას ილიას ცხოვრება, აგრეთვე მის პოეზიის უმთავრესი თვისებანი. რეფერატს შინაარსის მხრივ არა უშავდა რა, თუმც ცოტა დამუშავება აკლდა; აგრეთვე ვერ იყო გადმოცემული იგი მდაბიო ენით, რაც მეტად საჭიროა სოფელში რეფერატის წასაკითხად. რეფერატის შემდეგ წარმოდგენა იყო. კარგები იყვნენ: გიტო (იროდ. ალავერდაშვილი), გაბრო (რომან ნასიძე) თამარო (ქ-ნ ნაცვლიშვილი) და პეპია (ალ. უღიშვილი). დანარჩენი მომქმედი პირებიც წარმოდგენის ანსამბლს ხელს უწყობდნენ. საღამოს ბლომა ხალხი დაესწრო; იქნებ ეს იმის ბრალიც იყო, რომ იგი უფასო იყო. ყოველ შემთხვევაში, ამისთანა საღამოები სოფლად უფასონი უნდა იყოს ხოლმე, რათა ბევრი სოფლის მცხოვრები ესწრებოდეს მათ და ამით ეცნობოდეს ქართველ მწერლებს. წარმოდგენის შემდეგ წაკითხულ იქმნა რამოდენიმე ლექსი, რითაც დასრულდა საღამო. **ძველგავაზელი.**

# წერილი რედ. მიმართ

**პასუხად სეფე ლეჟავას.**

ბ-ნო სეფევ! „სახალხო გაზეთი“-ს მე-346 ნომერში სიამოვნებით ამოვიკითხე თქვენი წერილი, სადაც ბრძანებთ, ვითომც მე ბრალსა გდებდეთ ამავე გაზეთის მე-340 ნომერში მოთავსებულ ჩემს წერილში და აბუჩად არ აგეგდოსთ ქართული ენა ხარაგოულში მომხდარ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების კრებაზე. გადაათვალიერეთ იმ დღევანდელ კრების ოქმი, თქვენ მიერ შემოწმებული, და ხელ მოწერილი (ამ ჟამად ხელი არა მაქვს ოქმი, რომ სიტყვა სიტყვით აღვნიშნო ოქმში შეტანილი ამ საგნის შესახებ თქვენი ნათქვამი სიტყვები) და ნათლად დაინახავთ, რომ თქვენ აბუჩად აიგდეთ ქართული ენა და არავითარ ზედ მეტ ბრალსა და ცილს მე თქვენ არა გწამებთ. თქვენ რომ შეუგნებელი პირი ყოფილიყავით, ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ თქვენ, როგორც შეგნებულ პირს, არ გეპატიებათ სამშობლო ენისა და ლიტერატურის შეურაცყოფა. **რიხსგი.**

# ჩვენი ფოსტა

**მასწ. მიხ. დეკ—ძეს.** თქვენის შეკითხვის პასუხად უნდა გაცნობოთ, რომ კავკავის ქართული სკოლა ერთკლასიანია, ოთხის განყოფილებით და ოთხის მასწავლებლით.

# გამოსადეგი ცნობა

**პეტერბურგის ბირჟა**

ივლისი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% სახ. რენტა . . . . . . | 94 |
| 5% გირ. ფ. ს.-აზ. ხაზ. ს.-მამ. ბან. | 99-62½ |
| 4% „ „ „ „ . | 95¼ |
| 3½% „ „ „ „ . | 84¾ |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 86⅞ |
| 4½% „ „ „ „ . | — |
| 5% „ „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | — |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. ხაზ. | 86⅞ |
| 4½% „ „ „ „ . | — |
| 5% 1 მომგებ. ბილეთ. . . . . | 472½ |
| 5% II „ „ . . . | 58 |
| 5% III „ „ . . . . . . | 321. |

**ტფილისის ბირჟა**

**ხანთვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი თუშური . . . | 7 მ. 30 კ. 8 მ. |
| ბამბა ქუთათური . . . . . | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 15-16 |
| ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი . | 5½ |
| ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი . . | 7 „ |
| ყველი ქართული . . . . | 7 მ. 40 კ. 8 მ. |
| თხილი ზაქათალისა . . . . . . | — |
| ღვინო კახური . . . . . . | 3 მ. 50 კ. |
| შაქარი (თავისა . | 5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ. |
| შაქარი (ფხვიერი . . . . | 4 მ. 65 კ. |
| ხორბალი . . . . . . . . . | — |
| ქერი თეთრი. . . . . . . . | — |
| სიმინდი . . . . . . . . . | 80—85 |

# განცხადებანი


## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გევეხკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, **კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.** (წ. (1168—91)

**მუხრანის ხიდთან**

## სამკურნალო

**გ ა ი ხ ს ნ ა**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურის ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აბვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულება ნ დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata **„606“**-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—110)**

ოქროს მედალი, ლონდონში 1893 წ.

გაუფრთხილდით სიყალბეს!

პროვიზორ

## გ. ფ. იურგენსის

**ბორნო-ტიმოლის**

**საპონი**

ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ **კეთილ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა.**

ყველგან იყიდება.

1/1 ნაჭერი 50 კ. 1/2 ნაჭ.—30 კ.

Метцль. 5215. (18—1178—9)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

## ჭრა-კერვის

**წ ი გ ნ ი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Щкола кройки и шитья Софiи Iосифовны симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—55)

სუხუნაძის წინააღმდეგ

ახალი წამალი

## „SALO-პირილინი“

ჩქარად და საფუძლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.

Метцль. 12429. (45—1014—24)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა: წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ . . . ფ. 75 კ.
„ „ „ : წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა“ . . . . ფ. 80 კ.
ბ ა ტ ო ნ-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით“ ფ. 1 მ. 20 კ.
მ. ჯიჯიანისა: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა: „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

ალექსანდრე

## თაბაგარი

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

საკერავი და საქსოვი მაშინები,



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—33)



## ე. ა. ცაწუროვის დეპოში

მიღებულია დიდ-ძალი

## ახალსახიანი

## შპალიერი

მცირე ფასებიდან მოკიდებული.

ბითუმად მსყიდველთ საქარხნო პირობებით

**ე თ მ ც ა ზ ა თ.**

**ტფილისი, სასახლის ქუჩა.**

(10—1401—2)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

**მ ა ღ ა ზ ი ა ს**

**პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი

## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

## ხიზილალა

**ახალი (Зернистая).**

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა**

**გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.**

**წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.**

**და ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)


სტამბა „სორაპანი“ მოდათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**